ხელშეკრულება №53

ოზურგეთი,ნატანები, შეკვეთილი 10 **ივნისი** 2019წელი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია **შ.პ.ს. “სერვისი-7”,** რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორის ქ-ნ **ნინო ჩხაიძის** სახით (შემდგომში -„შემსყიდველი“) ერთის მხრივ,

და

შპს „ჩაქვის ასს“-ს დირექტორმა კობა წაქაძემ ს/კ246954504 (შემდგომში - „შემსრულებელი“) მეორეს მხრივ.

ხელშეკრულების ტექსტში მოხსენიებულნი, როგორც „მხარე” ან ერთობლივად როგორც, „მხარეები”, ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, გამარტივებული შეყიდვის საშუალებით ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს **ქვემოთ ჩამოთვლილი** საქონელი 30 **ივნისამდე**.

1. 1 **ცალი** დიელექტრიკული ხელთათმანი .
2. 1 **ცალი** დიელექტრიკული ბოლტი.
3. 1 **ცალი** 35კვ-ის მაღალი ძაბვის ინდიკატორი.

CPV 18400000, 44500000,

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 710 (შვიდას ათი) ლარს.**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 3. საქონლის მიღება-ჩაბარება.

3.1. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად **საგადასახადო დოკუმენტით** ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2 **საგადასახადო დოკუმენტით** ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიველი ახდენს ანგარიშწორებას მიმწოდებლისგან მიღებული საქონლისათვის.
3.3 საქონლის ან მისი ნაწილის მიღების ან საბოლოვო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ **საგადასახადო დოკუმენტით** ან სასაქონლო ზედნადების ან/და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10(ათი) საბანკო დღის განმავლობაში.
4.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია **საგადასახადო დოკუმენტით** ან სასაქონლო ზედნადებს ან/და მიღება-ჩაბარების აქტს მიუთითოს წარმოდგენილი საქონლის რაოდენობა, ერთეულის ფასი, საერთო ფასი.
4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ან ნაღდი ანგარისწორების ფორმით.
4.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

მუხლი 5 გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი.
5.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია წუნდებული საქონლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ განახორცილოს დაწუნებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

მუხლი 6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. ოზურგეთი, ნატანები (შეკვეთილი).
6.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 30 ივნისამდე.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალფდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 პუნქტში.
7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფლებამოსილი თანამშრომელი.

მუხლი 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისათვის.

8.1. ხელსეკრულობით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2 % -ის ოდენობით.
8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზდება ხელშეკრულების ღირებულება ან უფასურდება ხელშეკრულებების პირობები „შემსყვიდელისათვის“ გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.3 საქრთველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალიწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
9.4 ხელსეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.5 მხარე ვალდებულია 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
9.6 ხელსეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

უხლი 10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

მუხლი 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1 ხელსეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 20 **აგვისტომდე**.

მუხლი 13 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შ.პ.ს. “სერვისი-7”	შპს „ჩაქვის ასს“
იურიდიული ადგილსამყოფელი:	იურიდიული ადგილსამყოფელი:
ოზურგეთი,ნატანები,შეკვეთილი	ჩაქვი აღმაშენებლის ქ№18
საბანკო რეკვიზიტები:	ს/კ 246954504
სს „ბანკი ქართუ“	ა/ა GE25KS0000000360203659
ა/ა- GE49CR0150009200013402	
სს "ტერა ბანკი"	
b/k- CRTUGE22	KSBGGE22
ს/კ-204532899	
---	---
/ნ. ჩხაიძე/	/კ. წაქაძე/

Nino Chkhaidze

Digitally signed by Nino Chkhaidze
Date: 2019.06.10 13:35:30 +04'00'

Koba Tsakadze

Подписано цифровой подписью: Koba Tsakadze
Дата: 2019.06.10 15:56:02 +04'00'